

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №23171

2020 წლის 7 აგვისტო

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის დებულების (დანართი №19):

ა) მე-3 მუხლის „ე²“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე²) „კანონშესაბამისობის ღონისძიებების ხარისხის კონტროლის განხორციელება;“;

ბ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე²“ და „ე³“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე²) კანონშესაბამისობის ღონისძიებების ხარისხის კონტროლის განხორციელების პროცედურების შემუშავება;

ე³) დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით კანონშესაბამისობის ღონისძიებების ხარისხის კონტროლის განხორციელება და მის შედეგებზე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკავა

